



ფინანსური აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი კვეკელიშვილი

20 დეკემბერი 2024 წელი

N 38/36

ეგზ.: N1

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი
ორგანიზაციების 2023 წლის კონსოლიდირებულ (ნაერთ)
ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო შემოსავლების
ფინანსური აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3
	მოსაზრება	5
	1. მნიშვნელოვანი გარემოებები	6
	2. სხვა გარემოებები	8
	3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	10
	ფინანსური ანგარიშგების ფორმა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	12
	საკონტაქტო ინფორმაცია	19
დანართები		

ტერმინები და შემოკლებები	შემოსავლების სამსახური – საჯარო სამართლის იურიდიული პირი შემოსავლების სამსახური.
	საფინანსო-ანალიტიკური სამსახური – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური.
	სახაზინო სამსახური – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური.
	სსზასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.
	გას სისტემა – გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემა.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია სახაზინო სამსახური.¹


2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო შემოსავლები აღრიცხულია საკასო მეთოდით. დარიცხვის მეთოდის ნაცვლად საგადასახადო შემოსავლების საკასო მეთოდით აღრიცხვა არის სსბასს-ების მოთხოვნებიდან გადახრა. აღნიშნული გადახრის საშუალებას იძლევა ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების აღრიცხვა-ანგარიშგების ინსტრუქციის შესახებ“² იმ პირობით, რომ ერთეულები აღნიშნული გადახვევის გამომწვევ მიზეზებს გაამჟღავნებენ განმარტებით შენიშვნებში.

გადასახადის გადამხდელების მიერ გადასახადების გადახდა ხორციელდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე.³ სახაზინო კოდზე თანხის ჩარიცხვა საკასო მეთოდით შემოსავლების აღრიცხვისათვის განიხილება საგადასახადო შემოსავლად. სახაზინო სამსახური, საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახდენს გადასახადის გადამხდელების მიერ ჩარიცხული თანხების განაწილებას შესაბამისი გადასახადის სახეების მიხედვით.

მიმდინარე აღრიცხვის პრინციპებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო შემოსავლად აღიარებულია ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები – 19,732,620 ათასი ლარი, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტში განაწილებულია – 16,994,175 ათასი ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტების და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებში, შესაბამისად, 2,241,904 ათასი ლარი და 496,540 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების მთავარი წყაროა და 2023 წელს საგადასახადო შემოსავლებმა მთლიანი შემოსავლების 91% შეადგინა.

ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკზე მოცემულია ინფორმაცია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების განაწილების შესახებ:



¹ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანების მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი.

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსპას-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

³ 101001000.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო შემოსავლების ანგარიშზე

მოსაზრება

არამოდიფიცირებული მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო შემოსავლების ანგარიშის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2023 წლის კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო შემოსავლების ანგარიშის ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში – საგადასახადო შემოსავლების შესაბამის მუხლს და მასთან დაკავშირებულ განმარტებით შენიშვნებს, მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2023 წლის კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო შემოსავლების ანგარიში, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების⁴ შესაბამისად.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უპირობო მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“, შენიშვნები N1-დან N22-ის ჩათვლით.

1. მნიშვნელოვანი გარემოებები

1.1 საგადასახადო შემოსავლების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვაზე გადასვლის გეგმის და სააღრიცხვო პოლიტიკის ნაკლოვანებები

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ქვემოთ მოცემულ საკითხებთან მიმართებით:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილი არ არის ერთეულის ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური შედეგების, წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ან ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში, მაგრამ აუცილებელია/მნიშვნელოვანია ერთეულის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების გასაგებად. განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილია ის დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მომხმარებელს დაეხმარება მოცემული ფინანსური ანგარიშგების გაგებასა და სხვა ერთეულთა ფინანსურ ანგარიშგებებთან შედარებაში. აღნიშნული მოიცავს ინფორმაციას ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლებისა და ერთეულის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ,⁵ მათ შორის, არაგაცვლითი ოპერაციებით წარმოქმნილი შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.⁶

სსბასს-ების სავალდებულო მოთხოვნების გამოყენებიდან გადახრის საფუძველი შეიძლება იყოს ერთეულის საქმიანობის სპეციფიკა, საქართველოს საბიუჯეტო სისტემის პრინციპები, სახაზინო პროცედურები, საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და სხვ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია წინამდებარე ინსტრუქციით განსაზღვრული სსბასს-ების ამა თუ იმ სავალდებულო მოთხოვნის შესრულება, ერთეულმა აღნიშნული ფაქტი უნდა გაითვალისწინოს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას და გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, შესაბამისი გადახვევ(ებ)ის მიზეზ(ებ)ის ახსნით.⁷

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში მითითებულია, რომ საგადასახადო შემოსავლები აღირიცხება საკასო მეთოდით. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციით, აღნიშნული არის დარიცხვის მეთოდით აღრიცხვასთან დაკავშირებით სსბასს 23 მოთხოვნიდან⁸ გადახრა, რაც გამოიყენება სსბასს-ის დანერგვის გარდამავალ პერიოდში, ელექტრონული მთავარი წიგნის ფუნქციონალის სრულად ამოქმედებამდე.

ამ დრომდე არ არსებობს დამტკიცებული გეგმა, როდის უნდა აღირიცხოს საგადასახადო შემოსავლები დარიცხვის მეთოდით და აღნიშნულის შესახებ არც შესაბამისი ინფორმაციაა მოცემული განმარტებით შენიშვნებში.

საგადასახადო შემოსავლების დარიცხვის მეთოდზე გადასვლის შემდგომ, აღრიცხვის ინსტრუქციასთან შესაბამისობისა და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისათვის, აუცილებელი იქნება საგადასახადო

⁵ სსბასს 1 - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“, 127-ე - 129-ე მუხლები.

⁶ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანების მე-17 მუხლის მე-18 პუნქტი.

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

⁸ შემოსავლები არაგაცვლითი ოპერაციებიდან.

შემოსავლებთან და მასთან დაკავშირებულ მუხლებთან სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, რაც არ არის განხორციელებული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2021 წლის კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო შემოსავლების ფინანსური აუდიტის შედეგად ზემოთ განხილულ საკითხთან დაკავშირებით გაცემულია რეკომენდაცია რომლის შესრულების სტატუსია – *მიმდინარე*, ხოლო შესრულების საბოლოო ვადად განსაზღვრულია 2024 წლის 31 დეკემბერი.

2. სხვა გარემოებები

2.1 სავალუტო ანგარიშზე ჩარიცხული საგადასახადო შემოსავლების აღრიცხვის ნაკლოვანებები

საკურსო სხვაობა არის სხვაობა, რომელიც მიიღება ერთი ვალუტის მოცემული რაოდენობის ერთეულების გადაანგარიშებისას სხვა ვალუტაში, სხვადასხვა გაცვლითი კურსის გამოყენებით.⁹ თავდაპირველი აღიარებისას, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაცია უნდა ჩაიწეროს სამუშაო ვალუტაში, სამუშაო ვალუტასა და უცხოურ ვალუტას შორის ოპერაციის განხორციელების თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით.¹⁰ საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნება საანგარიშგებო პერიოდში, ან ფინანსურ ანგარიშგებაში ფულადი მუხლების თავდაპირველი აღიარებისას, გამოყენებული კურსისაგან განსხვავებული კურსით გადაანგარიშებისას აღიარებულ უნდა იქნეს როგორც ნამეტი ან დეფიციტი იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიქმნებიან.¹¹

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ:

- 1) ვალუტაში გადახდილი გადასახადების მიღება ხდება ეროვნული ბანკის სავალუტო ანგარიშზე, რომელიც კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში და გადაიტანება გადასახადების სალარე ანგარიშზე.¹² ოპერაციები ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო შემოსავლად აღიარდება არა ვალუტის მიღების, არამედ მისი კონვერტაციის მომენტში, ამავდროულად თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადასახადების ფაქტობრივად მიღების და კონვერტაციის თარიღს შორის ვალუტის ცვლილების ეფექტი¹³ ჩართულია „საგადასახადო შემოსავლების“ მუხლში;
- 2) ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე არ არის ასახული 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაკონვერტირებელი ვალუტაში მიღებული გადასახადები – 371 491 აშშ დოლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნული ორივე გარემოების გათვალისწინებით, „საგადასახადო შემოსავლების“ მუხლი გაზრდილია 1,855,685 ლარით, რაც ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ თანხების კონვერტაცია არ ხდება ჩარიცხვის დღესვე.

2.2 დაბრუნების ქვეანგარიშზე თანხების გადატანასთან დაკავშირებული პროცესის ნაკლოვანებები

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება წარმოებს დაბრუნების ქვეანგარიშზე მიმართული სახსრების გარეშე. დაბრუნების ქვეანგარიშზე თანხების გადატანა გავლენას ახდენს საგადასახადო შემოსავლების საკასო შესრულებასა და შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ საგადასახადო შემოსავლების ოდენობაზე. ზედმეტად გადახდილი გადასახადის, დაბრუნების ქვეანგარიშზე სახსრების მიმართვის პროცედურა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების/მხარეების როლები, დეტალურად უნდა იყოს გაწერილი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროში დაბრუნების ქვეანგარიშზე თანხების მიმართვის პროცესისათვის არ არის დამტკიცებული პროცედურული სახელმძღვანელო, შესაბამისად, არ არის ჩამოყალიბებული კრიტერიუმები და მაჩვენებლები, რომელთა მიხედვით განისაზღვრება დაბრუნების

⁹ სსბასს 4.10.

¹⁰ სსბასს 4.24.

¹¹ სსბასს 4.32.

¹² 101001000.

¹³ საკურსო სხვაობა.

ქვეანგარიშზე სახსრების მიმართვის აუცილებლობა; ასევე არ არის განსაზღვრული დაბრუნების ქვეანგარიშზე სახსრების მიმართვის პროცესში ჩართული პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების როლები. 2023 წელს გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშზე მიმართულია 2,335,000,000 ლარი.

ვერ მივიღეთ შესაფერისი დოკუმენტური მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რა პრინციპს ეყრდნობოდა 2023 წელს დაბრუნების ქვეანგარიშზე თანხების გადატანა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2021 წლის კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო შემოსავლების ფინანსური აუდიტის შედეგად ზემოთ განხილულ საკითხთან დაკავშირებით გაცემულია რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია – *მიმდინარე*, ხოლო შესრულების საბოლოო ვადად განსაზღვრულია 2024 წლის 31 დეკემბერი.

3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო შემოსავლების ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბას-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო შემოსავლების შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

საგადასახადო შემოსავლების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამყდევნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებული ინფორმაცია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას, ამასთანავე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს

მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

- ვაფასებთ საგადასახადო შემოსავლების აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება საგადასახადო შემოსავლების მუხლზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;


- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორები

ხელმოწერა

გიორგი ხადიშვილი
უფროსი აუდიტორი

გიორგი მურვანიძე
უფროსი აუდიტორი

 20.12.2024
 20.12.2024

ფინანსური ანგარიშგების ფორმა და ახსნა- განმარტებითი შენიშვნები	) ფინანსური შედეგების ანგარიშგება;) ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.
---	--

ფინანსური შედეგების ანგარიშგება						
სტრიქონის კოდი	დასახელება	შენიშვნა*	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა			წინა პერიოდის ბრუნვა
			საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	სულ
001	შემოსავლები					
002	სოციალური შენატანები	ტენ 14ა	19,732,620	-	19,732,620	17,385,944
003	შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით		-	-	-	-
004	შემოსავლები გრანტებით	ტენ 14გ	38,601	10,538	49,138	35,182
005	შემოსავლები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	ტენ 14ზ	338,867	104,139	443,006	765,073
006	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	ტენ 14გ	694,527	100,221	794,748	349,631
007	შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა	ტენ 14გ	481,325	-	481,325	137,531
008	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული მოგება	ტენ 15ა	3,617	1,522,886	1,526,504	1,224,874
009	საპროცენტო შემოსავლები	ტენ 15ბ, ტენ 17ა	-	2,453	2,453	68,147
010	საექვო (უიმედო) მოთხოვნების/გაუფასურების/ღირებულების შემცირების უკუგატარებით შემოსავლები	ტენ 15ა	368,474	160,018	528,492	376,864
011	სხვადასხვა შემოსავლები	ტენ 16	4,044	1,424	5,469	9,635
012	სულ შემოსავლები	ტენ 18	356,225	17,108	373,333	4,574,265
013	ხარჯები		22,018,300	1,918,787	23,937,087	24,927,147
014	შრომის ანაზღაურება					
015	საქონელი და მომსახურება	ტენ 17ა	2,180,192	1,574,680	3,754,872	3,183,873
016	გრანტები	ტენ 17ა	2,137,023	757,490	2,894,513	2,500,468
017	სუბსიდიები	ტენ 17ბ	1,834,528	112,974	1,947,501	1,823,284
018	გარე ტრანსფერები და სხვა საოპერაციო ხარჯები	ტენ 17ზ	947,125	13,416	960,542	1,015,898
019	შიდა ტრანსფერებით ხარჯები	ტენ 17ზ	1,233,840	65,664	1,299,504	1,758,834
020	ცვეთა და ამორტიზაცია	ტენ 17ა	1,777,055	21,904	1,798,960	1,314,662
021	სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა	ტენ 17ა	654,930	82,906	737,836	601,172
022	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული ზარალი	ტენ 17ა	6,993,524	27,992	7,021,515	5,917,477
023	საპროცენტო ხარჯები (ფინანსური ხარჯები)	ტენ 15ბ, ტენ 17ა	-	-	-	-
024	საექვო (უიმედო) მოთხოვნების/გაუფასურების/ღირებულების შემცირების ხარჯები	ტენ 17ა	1,640,326	13,516	1,653,842	1,076,451
025	სხვადასხვა ხარჯები	ტენ 16	598,891	17,333	616,224	144,924
026	სულ ხარჯები	ტენ 18	614,764	5,444	620,207	757,801
027	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)		20,612,197	2,693,319	23,305,516	20,094,843
028			1,406,103	(774,532)	631,570	4,832,303

* მოითხოვს შენიშვნებში აისახება ფინანსური შედეგების ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია
 **აისახება გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა

ხელმოწერა ორგანიზაციის ხელმძღვანელი:



Handwritten signature



N14ს საგადასახადო შემოსავლები *			
სტრუქტურის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
010	ფიზიკური პირებისგან შემოსავლო გადასახადი	6,071,357	5,034,089
020	კორპორაციებიდან და სხვა საწარმოებიდან მოგების გადასახადი	2,018,167	1,930,151
030	ქონების გადასახადი	648,342	603,515
040	დღგ	8,387,242	7,452,869
050	აქციზი	2,270,264	2,010,228
060	სამაჟო და იმპორტის მოსაკრებლები	151,212	125,992
070	სხვა საგადასახადო შემოსავლები	186,037	229,100
080	სულ	19,732,620	17,385,944

N14 ბ შემოსავლები გრანტებით									
სტრუქტურის კოდი		დასახელება		საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა					
				საბიუჯეტო სახსრები			არასაბიუჯეტო სახსრები		
				მიმდინარე	კაპიტალური	სულ	მიმდინარე	კაპიტალური	სულ
010	ფიზიკური პირები			74,870	19,344	94,213	95,932	4,907	100,838
020	უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული			4,937	12	4,949	24	-	24
030	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული			68,278	8,092	76,370	87,197	-	87,197
040	სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული			1,654	11,240	12,895	8,710	4,907	13,617
050	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული			-	-	-	-	-	-
060	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული			1,654	11,240	12,895	-	-	-
070	სასაქონლო ფორმით			45,113	199,540	244,654	8,710	4,907	13,617
080	უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული			27,593	156,219	183,811	299	3,001	3,301
090	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული			3,906	25,404	29,309	-	18	18
100	სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული			13,615	17,918	31,533	259	1,720	1,979
110	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული			11,512	-	11,512	40	1,263	1,303
120	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული			2,103	17,918	20,021	37	1,329	1,366
130	სულ			119,983	218,884	338,867	96,231	7,908	104,139

N14 გ სხვა ოპერაციებიდან შემოსავლები				
სტრუქტურის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა		
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
010	შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით	38,601	10,538	49,138
020	ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	694,527	100,221	794,748
030	მიმდინარე ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები არაკლასიფიცირებული ოპერაციებით	93,915	26,018	119,933
040	კაპიტალური ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები არაკლასიფიცირებული ოპერაციებით	600,612	74,203	674,815
050	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	481,325	-	481,325
060	შემოსავლები შიდა მიმდინარე ტრანსფერებით	-	-	-
070	შემოსავლები შიდა კაპიტალური ტრანსფერებით	481,325	-	481,325
080	სულ	1,214,453	110,758	1,325,211





გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი

გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი გაანგარიშებულია გასულ წლებში მიღებული ნამეტის/დეფიციტის გაუნაწილებელი თანხების და საანგარიშგებო პერიოდის გაუნაწილებელი ნამეტის/დეფიციტის თანხის, დაჯამებით. გაუნაწილებელ ნამეტსა და დეფიციტზე გავლენას ახდენს ასევე კაპიტალის კორექტირებები, რაც გამოწვეული შეიძლება იყოს სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტული გამოყენებით ან წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშებით.

ფინანსური შედეგების ანგარიშგება

ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშგებო პერიოდში მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები და გაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი და დეფიციტი.

შემოსავლები

შემოსავლები აერთიანებს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრულ საგადასახადო შემოსავლებს, სოციალურ შენატანებს, სანქციებს, ჯარიმებს, საურავებს, გრანტებს და გარე ტრანსფერებს, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული. გარდა ამისა, აღნიშნულ კატეგორიაში მოცემულია ისეთი შემოსავლები, როგორებიცაა შიდა ტრანსფერები, გაცვლითი ოპერაციებიდან შემოსავლები (პროცენტები, აქტივების გაყიდვებიდან ნამეტი და სხვა შემოსავლები).

საგადასახადო შემოსავლები

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს საგადასახადო შემოსავლებს, გადასახადების სახეების მიხედვით, რომელთა გაანგარიშება და მიღება ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, საგადასახადო შემოსავლები აღირიცხება საკასო მეთოდის შესაბამისად. აღნიშნული წარმოადგენს დარიცხვის მეთოდით აღრიცხვასთან დაკავშირებით IPSAS 23 სტანდარტის მოთხოვნებიდან გადახრას, რაც გამოიყენება IPSAS სტანდარტების დანერგვის გარდამავალ პერიოდში, ელექტრონული მთავარი წიგნის ფუნქციონალის³ სრულად ამოქმედებამდე.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსით“ დაწესებულია საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება:

- ა) საშემოსავლო გადასახადი;
- ბ) მოგების გადასახადი;
- გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
- დ) აქციზი;
- ე) იმპორტის გადასახადი.

ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი, საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი გადასახადები სრულად ირიცხება მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში.

სსიპ - შემოსავლების სამსახური, „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ თანახმად, ვალდებულია

³ დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნი უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებული ყველა ტრანზაქციის და ჩანაწერის ერთიან სისტემაში ინტეგრირებას, IPSAS-ზე დაფუძნებული ერთიანი ანგარიშთა გეგმის საფუძველზე და მთავრობის ფინანსური მდგომარეობის ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების მოძრაობის 2 შესახებ ინფორმაციის მომზადებას დროის რეალურ რეჟიმში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშგების დაგეგმვას, მონიტორინგის ზრდას და მენეჯმენტისთვის ინფორმაციების მომზადებას საფინანსო რესურსების ეფექტიან ხარჯვაზე გადაწყვეტილებების მისაღებად.





გააკონტროლოს გადასახადების გამოანგარიშების სისწორე და სისრულე და მათი დროულად გადახდა, ასევე უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელთა დროულად აღრიცხვა; განახორციელოს დარიცხული და ბიუჯეტებში გადახდილი გადასახადების აღრიცხვა და შეადგინოს ანგარიშგება გადახდილი გადასახადების შესახებ, ადასახადის გადამხდელს დაუბრუნონ ზედმეტად გადახდილი თანხა კოდექსით დადგენილი წესით. გადასახადის გადახდის დღედ ითვლება გადასახადის თანხის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვის დღე, თუ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. გადასახადის, აგრეთვე გადასახადის მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადა დადგენილია თითოეული გადასახადის მიხედვით.

„საგადასახადო კოდექსის“ თანახმად, გადასახადის დარიცხვა გულისხმობს საგადასახადო ორგანოს მიერ კონკრეტული საგადასახადო პერიოდისათვის გადასახადის თანხის აღრიცხვასა და ასახვას გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე, რომლის წარმოების წესი განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ. გადასახადის ასახვის საფუძვლად გამოყენებული დოკუმენტების ნუსხა განსაზღვრულია ზემოაღნიშნული კოდექსით.

სისიშ შემოსავლების სამსახურის მიერ, რომელის წინაშეც გადამხდელები პერიოდულად ახდენენ დეკლარირებას და რომელიც ახორციელებს კონკრეტული გადასახადის ადმინისტრირებას და რომლის ვალდებულებაა IPSAS-ის მიხედვით გადასახადების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვა, გადასახადები აღირიცხება საკასო მეთოდით. შემოსავალი აღიარდება, გადასახადით დაბეგვრის შედეგად წარმოქმნილ რესურსებზე კონტროლის მოიპოვების მომენტში, რაც უზრუნველყოფილია ამ რესურსების მიღებისას. სტანდარტის მოთხოვნიდან გადახრა განპირობებულია ზოგიერთი საგადასახადო ნაკადის საიმედოდ შეფასების სირთულეებით და ძალაშია ხაზინის ელექტრონული მთავარი წიგნის შემოსავლის დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის ფუნქციონალის სრულად ამოქმედებამდე. სახაზინო კოდების სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი იანვრიდან, ყველა გადასახადის სახაზინო კოდის გაუქმებისა და გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდის ამოქმედების შედეგად, გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით. ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხული თანხის გადასახადის სახეების მიხედვით განაწილება ხდება შემდეგი წესით:

- 2016 წლის 1 იანვრიდან, ერთიანი სახაზინო კოდის რეფორმის შემდგომ, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადების ბიუჯეტში გადახდისას საგადახდო დავალებში არ მიეთითება გადასახადის განმსაზღვრელი კოდი. გადახდილი თანხების შესახებ ინფორმაცია ხაზინიდან მიეწოდება შემოსავლების სამსახურს, რომელიც ცალკეული გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილ თანხას გაანაწილებს ამ გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული ვალდებულებების მიხედვით. გადახდილი თანხის ბარათზე არსებულ აღიარებულ საგადასახადო ვალდებულებებზე განაწილება ხდება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი თანმიმდევრობით – გადასახადის თანხა, ჯარიმა და საურავი.
- ძირითადი გადასახადების მიხედვით აღიარებული დავალიანების არსებობის შემთხვევაში, რომელთა წარმოშობა მოხდა ერთ კალენდარულ დღეს, გადახდილი თანხის მიკუთვნება ხდება იმ გადასახადის სახეზე, რომლის დარიცხვაც დროში უფრო ადრე მოხდა.
- ხაზინიდან გადახდილი თანხების შესახებ მიღებული ინფორმაციით გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათის მიხედვით, ყოველდღიური შესრულების მიზნებისათვის ვალდებულებების აღრიცხვა ხორციელდება სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ 24 საათამდე, შესაბამისად, ამ ვადამდე დაფიქსირებულ ვალდებულებებზე ხდება გადახდილი თანხების განაწილება. აღნიშნული დროის შემდეგ დეკლარირებული/დარიცხული ვალდებულებები შესრულების მიზნებისათვის აღირიცხება შემდეგ სამუშაო დღეს.
- იმ შემთხვევაში, თუ პირს ერიცხება საგადასახადო ვალდებულება რამდენიმე გადასახადში და გადაიხდა თანხა, რომელიც საკმარისი არ არის გადასახადების მიხედვით არსებული





დავალიანების სრულად დასაფარავად, თანხის განაწილება მოხდება ცალკეული გადასახადის ვალდებულების წარმოშობის ვადის მიხედვით. შესაბამისად, გადახდილი თანხით პირველად დაიფარება უფრო ადრე წარმოშობილი ვალდებულება. ანალოგიური თანმიმდევრობით მოხდება სანქციაში არსებული ვალდებულების დაფარვა. გადასახადის, ჯარიმისა და საურავის მიხედვით ბარათზე არსებული ვალდებულების დაფარვით განისაზღვრება ცალკეული გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილი თანხები. შესაბამისად, გადასახადის გადამხდელის ბარათზე ვალდებულების მიხედვით თანხების გადანაწილება წარმოადგენს დღის შერულებას.

- იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი გადაიხდის თანხას და მას ბარათზე არ გააჩნია ვალდებულება, გადახდილი თანხა აისახება დღის შესრულებაში სხვა გადასახადებში. შემდგომში, თუ გადასახადის გადამხდელს წარმოექმნა საგადასახადო ვალდებულება მისი დაფარვა მოხდება ზედმეტობიდან და შესაბამისი აისახება დღის შესრულებაში.

IPSAS 23-ის თანახმად, გადასახადებიდან შემოსავალი წარმოიქმნება მხოლოდ მთავრობისათვის, რომელიც გადასახადს აწესებს, და არა სხვა ერთეულებისათვის. თუ ცენტრალური მთავრობის მიერ დაწესებული გადასახადი, რომლის მთელი ამონაგებიც (ან ნაწილი) ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს გადაეცემა მიმდინარე ასიგნებების საფუძველზე, ცენტრალური მთავრობა მოცემული გადასახადისთვის აღიარებს აქტივებს და შემოსავალს, აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებზე განხორციელებული ტრანსფერისათვის აქტივების შემცირებას და ხარჯს. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო აღიარებს აქტივებს და შემოსავალს მიღებული ტრანსფერისათვის. IPSAS-ის ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტისთვის დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) განაწილება ხდება საბიუჯეტო კოდექსით პროცენტული განაწილების თაობაზე დადგენილი წესის საფუძველზე, გარდა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 164-ე მუხლით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისა.

გადასახადების საკასო მეთოდით აღრიცხვის პირობებით უზრუნველყოფილია IPSAS-ის მოთხოვნა - საგადასახადო ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი აქტივების შეფასება მათი შეძენის დღეს არსებული რეალური ღირებულებით, ფულადი სახსრების ჩარიცხვა ხაზინის ერთიან ანგარიშზე. IPSAS-ით განსაზღვრული საგადასახადო სისტემით ანაზღაურებული ხარჯებით და საგადასახადო დანახარჯებით შემოსავლების ურთიერთგადაფარვა არ ხდება.

შეცდომით აღიარებული საგადასახადო შემოსავალი ბუღალტრულ აღრიცხვაში ანუ აღიარდება უკუგატარებით. გადასახადის გადამხდელისთვის მის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების წესი დადგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ. ასევე, დადგენილია, რომ ცალკეულ შემთხვევაში, იმ გადასახადის გადამხდელის მიმართ, რომელიც ახორციელებს ელექტრონულ დეკლარირებას, შესაძლებელია განხორციელდეს ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის ავტომატური დაბრუნება. ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში ბიუჯეტის შემოსულობის ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხის დაბრუნების და აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში შეძენილ საქონელზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის დაბრუნების მიზნით, გახსნილია სარეზერვო ქვეანგარიში, სადაც მიიმართება გადასახადების სახით მიღებული შემოსავლებიდან. ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის შესაბამისი (ან ფიქსირებული) თანხის მოცულობა. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება წარმოებს დაბრუნების ქვეანგარიშზე მიმართული სახსრების გარეშე. ბიუჯეტის შემოსულობის შესრულების აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოებისას კორექტირება ხდება ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის დაბრუნებული ან შემოსულობის სხვა სახეში გადატანილი თანხით.

IPSAS-ის თანახმად, საავანსო შემოსულობები, რომლებიც გადასახადით დასაბეგრი მოვლენის დადგომამდე მიღებული რესურსებია, შეიძლება წარმოიქმნას გადასახადებთან კავშირში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, გადასახადების საავანსო შემოსულობები აღირიცხება როგორც შემოსავლის საკასო შესრულება, შესაბამისი გადასახადის სახეში.





საანგარიშგებო პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 19,732,620 ათასი ლარი, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტში განაწილდა 16,994,175 ათასი ლარი

რაც შეეხება ჯარიმების ფინანსურ ანგარიშგებაში ცალკე მუხლად, საგადასახადო შემოსავლებისგან დამოუკიდებლად ასახვას, შემოსავლის სამსახურის მიერ IPSAS-ის მოთხოვნებისგან გადახრით ასახვა განპირობებულია კანონმდებლობის მოთხოვნით. IPSAS-ის თანახმად: „გადასახადები არ მოიცავს საურავებს ან კანონის დარღვევისთვის დაწესებულ სხვა სახის ჯარიმებს“. მიუხედავად IPSAS-ის ამ მოთხოვნისა, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნების შესაბამისად, გადასახადებზე დაკისრებული ჯარიმები და საურავები აღიარდება IPSAS-დან გადახრით და ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება გადასახადებისგან დამოუკიდებლად. ჯარიმები და საურავები მიეკუთვნება გადასახადებს და ბიუჯეტის საკასო შესრულების ანგარიშგებაში აისახება გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ სანქცია/ჯარიმა/საურავების სახით მიღებულმა საკასო შემოსავლებმა შეადგინა 347,800 ათას ლარმა.

სანქციები, ჯარიმები და საურავები

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს სხვადასხვა სახის ხელშეკრულებების დარღვევასთან დაკავშირებით წარმოქმნილ შემოსავლებს ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით.

გრანტები

გრანტების სახით მიღებული შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, IPSAS 23-ის - „შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები)“ - შესაბამისად.

გრანტების კატეგორია მოიცავს უცხო ქვეყნების მთავრობებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებულ მიმდინარე და კაპიტალურ გრანტებს როგორც ფულადს, ასევე, სასაქონლოს.

გარე ტრანსფერებით შემოსავლები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული

გარე ტრანსფერებით შემოსავლები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული, ასახულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, IPSAS 23-ის - შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები) - შესაბამისად.

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს როგორც მიმდინარე, ისე კაპიტალურ ტრანსფერებს ფიზიკური პირებიდან, კერძო არამომგებიანი ორგანიზაციებიდან, არასამთავრობო ფონდებიდან, ორგანიზაციებიდან, საწარმოებიდან და კორპორაციებიდან (მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა) როგორც ფულადი შემოწირულობების, ასევე, არაფულადი საჩუქრების სახით.

შიდა ტრანსფერებით შემოსავლები

შიდა ტრანსფერებით შემოსავლები მოიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ ისეთ შიდა ტრანსფერებით შემოსავლებს, რომლებიც არ არის ამოთიშული კონსოლიდაციისას.



საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE